

## ხელ-ი ასოც. პროფ. მერაბ ახვლედიანი

ბათუმის უნივერსიტეტში რუსისტიკის ისტორია შვიდ ათეულ წელზე მეტს მოითვლის. რუსული ენის სწავლება ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში დაიწყო მისი დაარსებიდან, 1935 წლიდან. 1938 წელს ჩამოყალიბდა რუსული ენის კათედრა, რომელიც წლების მანძილზე არაერთხელ იქნა რეორგანიზებული, ფუნქციონირებდა რუსული ლიტერატურის კათედრასთან ერთად ან დამოუკიდებლად.

რუსული ენის კათედრაზე ჩამოყალიბების დღიდან მუშაობდნენ გამოჩენილი ენათმეცნიერები, აკადემიკოსები: გ.ახვლედიანი, გ.წერეთელი; პროფესორები: დ.მგელაძე, კ.კაპანელი, ა.ხიდემელი, დ.ჭანტურიშვილი, თ.მახარაძე; დოცენტები: გ.პატარაია, ნ. გოლოსკოჩენკო და სხვები.

დროთა განმავლობაში კათედრაზე აღიზარდნენ ენათმეცნიერების ადგილობრივი კადრები: პროფესორები: მ.ფარტენაძე, მ.ბერიძე, რ.კომახიძე, მ.აროშიძე; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნ.ხახუტაიშვილი; ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები: მ.ახვლედიანი, ა.არძენაძე, ნ.ქაჯაია, ქ.სვანიძე, ჟ.მამუჭაძე, დ.დობორჯგინიძე, ნ.თამაზაშვილი; ფილოლოგიის დოქტორები: ს.თავართქილაძე, ლ.აგაჯანოვა, ნ.ჩხაიძე, ნ.სურმანიძე; უ/მ: ვ.ნაგირნაია, გ.თარბა, ნ.მოისწრაფიშვილი, თ.გრიგორიევა; მასწავლებლები: ლ.ატრუჟბა, ლ.ლომთათიძე, ქ.ჩავლეიშვილი, ს.ხახუტაიშვილი, გ.გვარიშვილი.

ბათუმში რუსისტიკის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის აკადემიკოს გ.ახვლედიანს, რომელმაც შეიმუშავა პირველი რუსული და ქართული ენის სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის შეპირისპირებითი მეთოდის გამოყენებით, განახორციელა რუსული და ქართული ფენომენების შედარებითი ანალიზი, გამოაქვეყნა მრავალი საინტერესო ნაშრომი ძველ სლავურ, დიალექტოლოგიასა და რუსული სალიტერატურო ენის ისტორიაში.

ფართო პროფილის ფილოლოგი, კლასიკური ენების უბადლო მცოდნე, პროფ. დ.მგელაძე დიდ ყურადღებას აქცევდა ფილოლოგ სპეციალისტთა მომზადებას. 1932 წელს პროფ. დ.მგელაძემ თ.კანდელაკთან ერთად გამოსცა სახელმძღვანელო „რუსული ენის გრამატიკა“. იგი სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს რუსული ენის ორთოგრაფიასა და გრამატიკაში. განსაკუთრებით საყურადღებო იყო მისი ექსკურსები ეტიმოლოგიაში. აღსანიშნავია, რომ პროფ. დ.მგელაძე იყო კავშირგაბმულობის მინისტრი ნ.ჟორდანაიას მთავრობაში საქართველოს დამოუკიდებლობის (1918–1921) წლებში.

1945 წლიდან 1955 წლამდე ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის რუსული ენის კათედრას ხელმძღვანელობდა პროფ. ა.ხიდემელი. ამ გამოჩენილი ენათმეცნიერის სახელი ფართოდ იყო ცნობილი საქართველოს საზღვრებს გარეთ. მისი ნაშრომებით დაინტერესდნენ ჰარვარდის, ბერლინის და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტები. მას ეკუთვნის 70-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და მონოგრაფია, მათ შორის: «Диалектологический словарь островного русского говора» (1977), «Русские говоры в Грузии (ტექსტები ლექსიკონთან ერთად, 1982), «Словарь дманисских говоров русского языка» (1991). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონოგრაფია «Говор духоворцев в Грузии», რომელიც დამუშავებული იყო ბპი-ს რუსული

ენის კათედრაზე და ეძღვნებოდა სოფელ შეკვეთილში მცხოვრებ დუხობორთა რელიგიური საზოგადოების მეტყველების თავისებურებებს.

წლების განმავლობაში ბათუმში მოღვაწეობდა პროფ. დ.ჭანტურიშვილი (კათედრას ხელმძღვანელობდა 1955–1961 წწ). იგი იყო გამოჩენილი სპეციალისტი რუსული და ქართული ენების შეპირისპირებითი გრამატიკის სფეროში. მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები: «О бинарном сопоставлении разносистемных контактирующих языков» (РЯНШ, М, 1964), «Основные проблемы сопоставительной типологии исследования неродственных языков» (В книге «Русский язык - язык межнационального общения» М, 1976), «Становление и основные тенденции развития научно-технической терминологии в Грузии» (В книге «Проблемы разработки и упорядочения терминологии» М, 1983), «Существительные лица в русском и грузинском языках» (Тбилиси, 1979). სამწუხაროდ, გამოუქვეყნებელი დარჩა მისი უნიკალური ნაშრომი «Материалы парадигматического словаря русского языка».

ბპი–ს რუსული ენის კათედრის დოცენტმა ე.კრემერმა შეადგინა სახელმძღვანელო სტუდენტი ფილოლოგებისთვის: «История русского языка» (Фонетика и морфология, 1982), Исторический комментарий к современному русскому языку (Ич. Фонетика 1989), Исторический комментарий к современному русскому языку (Ич. Морфология 1990). ე.კრემერი წარმატებით მუშაობდა სემასიოლოგიის პრობლემებზე, ამზადებდა ასპირანტებს. მან მოამზადა სპეციალისტთა მთელი პლეადა, რომელთაგან ბევრი მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია.

სანკტ–პეტერბურგის აღიარებული ფილოლოგიური ენის განმარტებითი ლექსიკონის (17 ტომი) ერთ–ერთი ავტორი დოცენტი ვ.ორლოვი 1968 წლიდან 1974 წლამდე მუშაობდა ბპი–ს რუსული ენის კათედრაზე და კითხულობდა თანამედროვე რუსული ენის კურსს.

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის აღზრდილი პროფ. მ. ფარტენაძე წლების განმავლობაში მუშაობდა რუსული ენის კათედრაზე. მას ეკუთვნის ბევრი სამეცნიერო ნაშრომი. მისი მონოგრაფიებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 2000 წელს გამოცემული კვლევა „დიალექტური ლექსიკის სტატუსის შესახებ ლიტერატურული ენის განმარტებით ლექსიკონში“. მასში გაანალიზებულია ლიტერატურული ენისა და დიალექტების მიმართების თავისებურებანი ლექსიკის დონეზე.

რუსული ენის კათედრაზე ნაყოფიერად მუშაობდნენ დოცენტები გ.შიუკაშვილი, ი.კარელიძე, რ.ვიგნანსკაია, ნ. ჭყონია, ლ. ხალვაში და სხვ.

აჭარაში რუსული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ბპი–ს რუსული ლიტერატურის კათედრასთან, რომელიც სათავეს 1938 წელს იღებს. დამოუკიდებლად კათედრამ 20 წელი იარსება. 1986 წელს რუსული ლიტერატურის კათედრა გამოეყო ენის კათედრას და მის გამგედ დოც. ნ.ვარშანიძე დაინიშნა. 1991 წელს კათედრამ კვლავ შეწყვიტა არსებობა და დამოუკიდებელი ერთეულის უფლებებში აღდგენილი იქნა 1996 წელს. 2001 წლიდან კათედრის გამგე იყო პროფ.მ.ბერიძე.

შემდგომში რუსული ლიტერატურის კათედრა გაერთიანდა რუსული ენის კათედრასთან, 2005 წელს კი გადაკეთდა სლავისტიკის დეპარტამენტად.

რუსული ლიტერატურის კათედრაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ პროფესორი ა.მხიტარიანი, დოცენტები თ.მახარაძე და ა.პარასტაევი. დოც. თ. მახარაძის კვლევის საგანი იყო ჩეხოვი და ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი. პროფ. მხიტარიანი თავის მეცნიერულ გამოკვლევებში ყურადღებას უთმობდა რუსულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებს და მ. გორკისა და ქართული საზოგადოებრიობის ურთიერთობებს.

კათედრა ნაყოფიერად წარმართავდა თავის მუშაობას რუსული ლიტერატურის ისტორიისა და რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის მიმართულებით. ამ მხრივ კათედრაზე ფუნქციონირებდა სამი მეცნიერულ-კვლევითი მიმართულება: 1. რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევა; 2. ორიგინალის ეროვნული სპეციფიკისა და მხატვრული თარგმანის თავისებურებათა კვლევა; 3. რუსული ლიტერატურის ისტორიის პრობლემების კვლევა.

კათედრის მეცნიერული მუშაობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა ლიტერატურისა და ფოლკლორის, ლიტერატურულ ურთიერთობათა, მხატვრული თარგმანის აქტუალური პრობლემებისა და რუსული ლიტერატურის ისტორიის შესწავლა.

მრავალი წლის განმავლობაში კათედრაზე ნაყოფიერად მოღვაწეობდა პროფ. მერაბ ბერიძე, რომლის სამეცნიერო ინტერესების სფეროს განეკუთვნებოდა ქართული და რუსული რომანების იდეურ-მხატვრული პრობლემატიკა, მხატვრული თარგმანის პრობლემები და სხვა. ის 45-მდე სტატიისა და 3 მონოგრაფიის ავტორია. თავის შრომებში „ტრადიციები და ნოვატორობა თანამედროვე ქართულ რომანში“ და „ახალგაზრდა პროზაიკოსები“ ის იკვლევს თანამედროვე რუსული და ქართული რომანების იდეურ-მხატვრულ თავისებურებებს, სახეთა სისტემას, ხოლო მონოგრაფია „პრეცედენტული ტექსტი და თარგმანი“ ეძღვნება მხატვრული თარგმანის პრინციპების კვლევებს.

პროფ. მ. ბერიძე ხალხთა შორის ინტერნაციონალური მეგობრობის განმტკიცებისათვის, ხანგრძლივი საზოგადოებრივი, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის დაჯილდოებული იყო ნორვეგიელი ჰუმანისტის, ნობელის პრემიის ლაურიატის, ფრიტიოფ ნანსენის პრემიით. იგი იყო ასევე სომხეთის რესპუბლიკის გრიგორ ნარეკაციის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

წლების განმავლობაში კათედრაზე წარმატებით მოღვაწეობდა აგრეთვე დოცენტი ნოდარ ვარშანიძე. მისი კვლევის სფეროს წარმოადგენდა მხატვრული თარგმანის თეორია და პრაქტიკა, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობანი. მისი მონოგრაფიები „ი. გონჩაროვი ქართულ ლიტერატურაში“ და „ორიგინალის ეროვნული სპეციფიკა და მხატვრული თარგმანი“ ეძღვნება რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებსა და ტექსტის ეროვნული სპეციფიკის სხვა ენაზე გადატანის პრინციპებს.

კათედრაზე წლების განმავლობაში მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი მასწავლებლები, როგორებიც იყვნენ ს.ტყეშუჩავა, გ.შანიძე, ტ.დიომინა, ჟ.ჩხარტიშვილი და სხვები. ისინი

სათანადო ყურადღებას უთმობდნენ რუსული ლიტერატურის სკოლაში სწავლების საკითხებს, მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ბათუმის სკოლებთან.

სერაფიმა ტყეშუჩავა 1952 წლიდან მოღვაწეობდა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე უფროს მასწავლებლად. მონაწილეობას ღებულობდა ს.ესენინის შემოქმედებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში, სადაც წაიკითხა მოხსენება: “ესენინი ბათუმში”, (მოსკოვი, 1993). გამოქვეყნებული აქვს 15–მდე სამეცნიერო ნაშრომი. მიღებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება და შრომის ვეტერანის მედალი.

კათედრა სათანადო ყურადღებას უთმობდა რუსული ლიტერატურის სწავლებას სკოლაში. მასწავლებელ გიორგი შანიძეს წლების განმავლობაში მიჰყავდა რუსული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კურსი. მას ახლო კონტაქტები ჰქონდა აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან. ბათუმის უნივერსიტეტის აღზრდილი გახლავთ მასწავლებელი ჟუჟუნა ჩხარტიშვილი, რომელიც კითხულობდა თანამედროვე რუსული ლიტერატურის ისტორიის კურსს.

კათედრის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მუშაობაში.

წლების განმავლობაში რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე მუშაობდნენ ლაბორანტები ქ. ჩაჩანიძე, თ. ჩიქოვანი, ნ. მამფორია. კათედრის ლიტერატურულ სამეცნიერო წრეს წარმატებით ხელმძღვანელობდა მასწავლებელი ზ. ხალვაში.

## სლავისტიკის დეპარტამენტი

2005 წელს რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის ბაზაზე ჩამოყალიბდა სლავისტიკის დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელი სიცოცხლის ბოლომდე იყო პროფ. როლანდ კომახიძე (1985-2008). ამ გარდაქმნასთან დაკავშირებით საგრძნობლად გაფართოვდა დეპარტამენტის სამეცნიერო მუშაობის არეალი: დეპარტამენტის წევრთა სამეცნიერო ინტერესის ძირითად სფეროსა და კვლევის მიმართულებას წარმოადგენს სლავური ენებისა და ლიტერატურების კვლევა ზოგადევროპულ კონტექსტში, სავსებით შეეფერება გლობალიზაციისა და ევროპასთან ინტეგრირების თანამედროვე მოთხოვნებს.

ვრცელი იყო პროფ. როლანდ კომახიძის ლინგვისტური ინტერესების სფერო. არამონათესავე ენების ტერმინოლოგიის ლექსიკოლოგიური კვლევა გადაიზარდა საკანდიდატო დისერტაციაში «Сопоставительный анализ физической терминологии в русском и грузинском языках» (1982, Одесса). დიდ ინტერესს იწვევს მისი ნარკვევები რუსული ასპექტოლოგიის სფეროში. პროფ. რ.კომახიძის მონოგრაფია «Парадигматика и синтагматика текста» (1995, Тбилиси) გამოირჩევა მეცნიერული კონცეფციის მთლიანობითა და სიახლით. ავტორი

ყოველმხრივ იკვლევს ტექსტის ტრანსფორმაციის მოვლენებს სხვადასხვაგვარი ტექსტების საფუძველზე.

პროფ. რ.კომახიძის ხელმძღვანელობით სლავისტიკის დეპარტამენტში მიმდინარეობდა კომპლექსური მეცნიერული კვლევა ტექსტის ლინგვისტიკაში, გაიზარდა ბევრი ახალგაზრდა მეცნიერი.

ქართული რუსისტიკის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის შესანიშნავ მეცნიერს, პროფ. დავით გოცირიძეს. მას ეკუთვნის ფუნდამენტური კვლევები «Очерки русской грамматической мысли» (1988), «Средневековый перевод и его особенности» (1989). სამეცნიერო წრეებში დიდი რეზონანსი გამოიწვია მისმა მონოგრაფიამ ტექსტის ლინგვისტიკაში «Типологическая интерпретация фразовых текстов» (1989). ეს მონოგრაფია იქცა ძირითად საყრდენად ქართველ ენათმეცნიერთათვის ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემათა კომპლექსურ კვლევაში. ფინეთისა და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფ. დავით გოცირიძის ხელმძღვანელობით დაცული იქნა მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. პროფ. დავით გოცირიძე ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავისტიკის დეპარტამენტში 2006-2009 წწ.

სლავისტიკის დეპარტამენტში წარმატებით მოღვაწეობდნენ მასწავლებლები: ს.ტყეშელაშვილი, ნ.მოისწრაფიშვილი, გ.თარბა, გ.შანიძე, ჟ.ჩხარტიშვილი, ტ.დიომინა, ლ.ლომთათიძე, ნ.ოსეფაშვილი, ქ.ჩავლეიშვილი, ლ.ატრუჭბა, ს.ხახუტაიშვილი, გ.გვარიშვილი და სხვები.

სლავისტიკის დეპარტამენტი მუდმივ კონტაქტშია არა მარტო საქართველოს, არამედ საზღვარგარეთ სლავისტიკის ცენტრებთან და ლეზულობს აქტიურ მონაწილეობას სამეცნიერო-შემოქმედებით კონფერენციებსა და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციის მუშაობაში. გაფართოვდა კონტაქტები და თანამშრომლობა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან. მიღწეული იქნა შეთანხმებები ბულგარეთისა (ნეოფიტ რილსკის სამხრეთ-დასავლეთის უნივერსიტეტი) და პოლონეთის (პოზნანი) უნივერსიტეტებთან ერთობლივი საგრანტო პროგრამების შესახებ. სლავისტიკის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით აქტიურად მონაწილეობენ საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმსა და ღონისძიებაში.

დეპარტამენტის წევრები: პროფ. მ.აროშიძე, ასოც. პროფესორები მ. ახვლედიანი, ქ. სვანიძე, ნ. ქაჯაია, ა. არძენაძე, ასისტენტ-პროფესორები ჟ.მამუჭაძე, დ. დობორჯგინიძე, ს.თავართქილაძე აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებისა და სემინარების მუშაობაში, მათ შორის გრანადის (ესპანეთი), ველიკო-ტირნოვოს (ბულგარეთი), პოლონეთის (ვარშავა, გდანსკი), პეჩის (უნგრეთი), გალათის (რუმინეთი), სალონიკის (საბერძნეთი), ერევნის (სომხეთი), ბაქოს (აზერბაიჯანი), კიევის (უკრაინა), ლიუვენის (ბელგია) და სხვა საერთაშორისო კონფერენციებში.

სლავისტიკის დეპარტამენტის ძალებით მომზადდა და ჩატარდა შემდეგი საერთაშორისო კონფერენციები:

1. «Сопоставление как метод исследования и обучения». Май, 2005.
2. «Русский язык: система и функционирование». 7-9 июня 2007 г.
3. «Инновационные аспекты исследования культуры, археологии, этнологии, лингвистики стран Черноморского бассейна». 16-18.06.2007.
4. II Международная конференция «Инновационные аспекты исследования культуры, истории, антропологии, литературы и лингвистики стран Черноморского бассейна», Батуми, Грузия, 2010, 1-3 июля.

2009 წელს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის „ჰუმანიტარული მეცნიერებანი ინფორმაციულ საზოგადოებაში“ სლავისტიკის სექცია ერთ-ერთი წარმომადგენლობითი გახლდათ, მის მუშაობაში მონაწილეობას დებულობდნენ მკვლევარები რუსეთიდან, პოლონეთიდან, უნგრეთიდან, აზერბაიჯანიდან.

2005 წელს სლავისტიკის დეპარტამენტმა სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტთან ერთად მოამზადა და გამოსცა სამეცნიერო სტატიათა კრებულის «Историко-филологические изыскания»-ს 1 ტომი. კრებულის გამოცემა წლების განმავლობაში წარმატებით გრძელდებოდა, სულ გამოიცა 10 ტომი.

2008-2013, 2015-2016 წლებში სლავისტიკის დეპარტამენტს პროფესორი მარინე არომიძე ხელმძღვანელობდა. გააქტიურდა სამეცნიერო მუშაობა, დეპარტამენტის წევრები მონაწილეობენ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ სტრუქტურულ და სამეცნიერო პროექტებში, სისტემატურად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის პროფესორებთან. მ.არომიძის ხელმძღვანელობით გააქტიურდა მუშაობა უცხოელ სტუდენტებთან. სხვადასხვა სპეციალობების თურქი სტუდენტებისათვის შემუშავებული იქნა დამატებითი პროგრამა „რუსული ფილოლოგია“ და შეიქმნა რუსული ენის სწავლების ელექტრონული კურსები. ერაზმუსის გაცვლითი პროგრამით ჩამოსული უცხოელი სტუდენტები დიდ ინტერესს იჩენენ რუსული ენის შესწავლის მიმართ. სხვადასხვა დროს რუსულ ენას სწავლობდნენ ბერძენი, ბულგარელი, აზერბაიჯანელი და სხვა სტუდენტები. მ.არომიძის ავტორობით და თანაავტორობით შემუშავებულია სამი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები: ბაკალავრიათში - „რუსული ფილოლოგიის“ და „თარგმანმცოდნეობის“ პროგრამები, მაგისტრატურაში - „ლინგვისტიკის“ პროგრამა (სპეციალობა - რუსული ენა), დოქტორანტურაში - „ლინგვისტიკის“ პროგრამა (სპეციალობები - რუსული ფილოლოგია, თარგმანმცოდნეობა).

პროფესორი მარინე არომიძე 1975-1979 წლებში სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიკურ უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში მუშაობდა ბათუმის სხვადასხვა სკოლებში. 1994-1995 წლებში ის იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მაძიებელი. 1995 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საზღვაო კომუნიკაციის ფრაზარიუმის სტრუქტურა და მისი ტექსტლინგვისტური სტატუსი“. ხოლო 2004 წელს -

სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ტექსტური ინფორმაციის კოდირების ლინგვოსემიოტიკური მექანიზმი და მისი დეკოდირების პრობლემები“. გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო სტატია, მონოგრაფია «Лингвосемиотический механизм свертывания текстовой информации и проблемы ее декодирования».

აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, მათ შორის რუსული ენის მასწავლებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის ველიკო-ტირნოვოს, გრანადის, სალონიკის, პეჩის სამეცნიერო კონფერენციებში. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროს წარმოადგენს ტარგმანი და კულტურათშორისი კომუნიკაცია, ტექსტის ლინგვისტიკა და ტექსტური ინფორმაციის ინტერპრეტაცია, თანამედროვე რუსული ენის აქტუალური პრობლემები, თარგმანმცოდნეობა, მეთოდური ინოვაციები უმაღლეს სკოლაში უცხო ენების სწავლებისა და სწავლის პროცესში. გაიარა ტრენინგები „კრიტიკული აზროვნება და აქტიური სწავლა უმაღლეს სასწავლებელში“, ნეოფიტ რილსკის სამხრეთ დასავლეთის უნივერსიტეტის საერთაშორისო სემინარი „ბულგარული ენა და კულტურა“, პროფესიული განათლების კურსები/ტრენინგები. ხელმძღვანელობს რუსული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას და რუსული ფილოლოგიისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამას. არის რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი 2006 წლიდან დღემდე, 2009 წლიდან - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ბსუ -ს აკადემიური საბჭოს წევრი, 2014 წლიდან არის ბათუმის შოტა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი.

ამჟამად (15.09.2016-დან) სლავისტიკის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს ასოცირებული პროფესორი მერაბ ახვლედიანი.

მერაბ ახვლედიანი 1978 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1986-1989 წწ. სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1993 წელს დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „ქართული ლექსიკა XX საუკუნის რუსული პოეზიის ენაში (ნასესხობისა და ადაპტაციის პრობლემები)“ (ხელმძღვანელი პროფ. გ. წიბახაშვილი).

1980 წლიდან დღემდე ის მუშაობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ რუსული ენის კათედრაზე, შემდეგ კი სლავისტიკის დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობებზე. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 36 წლის მოღვაწეობის პერიოდში მერაბ ახვლედიანი ეწეოდა მრავალფეროვან საზოგადოებრივ საქმიანობას: იყო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი (2006-2009 წწ.); ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში (1984-1985 წწ.); რუსული ფილოლოგიის კათედრის გამგის მოადგილე (1988-1994 წწ.); თანამედროვე რუსული ენის მოდულის ხელმძღვანელი; სტუდენტთა რუსული ენის სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი და ა.შ. 2016 წელს მერაბ ახვლედიანი დაჯილდოებულია შოთა რუსთაველის მედლით.

ასოცირებული პროფესორის მერაბ ახვლედიანის სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს: რუსული ფილოლოგიის საკითხები, შეპირისპირებითი კვლევა რუსულ და ქართულ ფილოლოგიაში, თარგმანმცოდნეობის თეორია და პრაქტიკა, კულტურათმორისი კომუნიკაციები. მისი ხელმძღვანელობით დაცულია არაერთი სადიპლომო და სამაგისტრო ნაშრომი. ის ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საქართველოში ჩატარებულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. მონაწილეობა მიღებული აქვს აგრეთვე საზღვარგარეთ ჩატარებულ კონფერენციებშიც.

მერაბ ახვლედიანს გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის მონოგრაფია „პოეტური ლექსიკის სესხება და ადაპტაცია“ (2011წ.); ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ აღიარებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის განკუთვნილი ორი სახელმძღვანელო: 1). „რუსული ენის გრამატიკა. მორფოლოგია“ (2012 წ., 2013 წ.); 2). „რუსული ენის სინტაქსი. რთული წინადადება“ (2013 წ.). 2015 წელს მ.ახვლედიანმა გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელო აბიტურიენტებისათვის „რუსული ენა“ (თანაავტორი ჯ. აბაშიძე). იმავე წელს მეუღლესთან - ირმა ახვლედიანთან ერთად პირველად ქართულად თარგმნა და თავისი სახსრებით გამოსცა 1918 წელს გამოქვეყნებული ნ. შუგუროვის ცნობილი ბროშურა „ქართული ხახულის მონასტერი“.

ამჟამად სლავისტიკის დეპარტამენტში მოღვაწეობენ: ასოცირებული პროფესორები ქეთევან სვანიძე, ნანა ქაჯაია, ასმათ არძენაძე, ასისტენტ პროფესორები დალი დობოროჯინიძე, სოფიკო თავართქილაძე. თავიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებას. აწ განსვენებული პროფ. რ. კომახიძის ხელშეწყობითა და ხელმძღვანელობით კათედრის ბევრმა თანამშრომელმა დაიცვა საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია, გაიარა სტაჟირება პეტერბურგის, მოსკოვისა და თბილისის უნივერსიტეტებში. მუშაობა მომავალი მეცნიერების აღზრდის მხრივ ახლაც წარმატებით მიმდინარეობს.

სლავისტიკის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა ქეთევან სვანიძემ 1993 წელს ჩააბარა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის მიზნობრივ ასპირანტურაში. 1998 წლიდან მუშაობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის მასწავლებლად. 2002 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სოციალური იმპერატივების ლინგვისტური ბუნება“ (ხელმძღვანელი - პროფ. დავით გოცირიძე). 2006 წლიდან არის სლავისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. ხელმძღვანელობდა „თარგმანის თეორიისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის“ სამაგისტრო პროგრამას. გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო სტატია. მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ღონისძიებებში მათ შორის რუსული ენის მასწავლებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის სოფიის, ველიკო-ტირნოვოს, გრანადის, სალონიკის, შანხაის, გრანადის, რიგის და სხვ. სამეცნიერო კონფერენციებში. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროს წარმოადგენს კულტურათმორისი კომუნიკაცია, ტექსტის ლინგვისტიკა, თარგმანმცოდნეობა. ქეთევან სვანიძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობს უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამებში და არის საერთაშორისო კვლევითი პროექტების მონაწილე.

სლავისტიკის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა ნანა ქაჯაიამ 1992 წელს დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და სწავლა



განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივ ასპირანტურაში. 1998 წლიდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე. 2002 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ზოგადსაკაცობრიო მოტივები ვ.შუკშინისა და ნ. დუმბაძის შემოქმედებაში“ (ხელმძღვანელი პროფ. დიმიტრი თუხარელი). მისი სამეცნიერო კვლევის სფეროს წარმოადგენს: თანამედროვე რუსული ლიტერატურა, ლიტერატურული ურთიერთობანი, ლიტერატურის თეორია, თარგმანმცოდნეობა. 2003–2010 წლებში ხელმძღვანელობდა რუსული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამას. 2006 წლიდან არის სლავისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. არის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რუსული ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის მოდულის ხელმძღვანელი. გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო სტატია. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონფერენციებში, მისი ხელმძღვანელობით დაცული იქნა სადოქტორო დისერტაცია, არის სამეცნიერო კრებულების რედკოლეგიის წევრი, სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

სლავისტიკის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა ასმათ არძენაძემ 1993 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა. 2000–2002 წლებში იყო შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მაძიებელი. 2003 წელს დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „კითხვის გამოხატვის სტრატეგია და ტაქტიკა რუსულ დისკურსში“ (ხელმძღვანელი პროფ. დ.გოცირიძე). 1993-1997 წლებში მუშაობდა ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრის ლაბორანტად. 1998 წლიდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის მასწავლებლად. 2006 წლიდან არის სლავისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. ასმათ არძენაძეს გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო სტატია. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში. მათ შორის რუსული ენის მასწავლებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის ველიკო-ტირნოვოს, გრანადის, სალონიკის სამეცნიერო კონფერენციებში. არის სხვადასხვა სახელმძღვანელოების რედკოლეგიის წევრი, სამეცნიერო ღონისძიებების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. არის რუსული ფილოლოგიის დამატებითი პროგრამის ხელმძღვანელი. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროს წარმოადგენს კულტურათმორისი კომუნიკაცია, გენდერული ლინგვისტიკა, ლინგვისტიკა და ეთნომენტალური სამყარო.

წლების განმავლობაში სლავისტიკის დეპარტამენტში აქტიურად მოღვაწეობდა ასისტენტ პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ჟალე მამუჭაძე. 1975–1978 წლებში იგი სწავლობდა თსუ–ს მიზნობრივ ასპირანტურაში. 2006 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე “ნომინაციურ–ინფორმაციული სტრუქტურები სარეკლამო პოზიციაში“ (ხელმძღვანელი პროფ. დავით გოცირიძე). მის სამეცნიერო ინტერესის სფეროს წარმოადგენს სარეკლამო დისკურსის თავისებურებანი, მეტყველების კულტურა და ენის სტილისტიკა. გამოქვეყნებული აქვს 15-მდე სამეცნიერო ნაშრომი. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს რესპუბლიკური და საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში. 2006–2009 წლებში მუშაობდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. ამჟამად

განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ასისტენტ პროფესორია.

დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი დალი დობორჯგინიძე 1999-2003 წლებში სწავლობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრვ ასპირანტურაში. 2003 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „ოფიციალური და საქმიანი დოკუმენტები თარგმნის თეორიის შუქზე“ (ხელმძღვანელი პროფ. დავით გოცირიძე). მის სამეცნიერო ინტერესს თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა სფერო წარმოადგენს. თანამედროვე ინტერაქტიული მეთოდური ინოვაციები უცხო ენების სწავლება-სწავლის პროცესში. არის თარჯიმან-რეფერენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რუსული ენა და ლიტერატურის სპეციალობის მოდულის - ლიტერატურული ურთიერთობების ხელმძღვანელი, სლავისტიკის დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი. გამოქვეყნებული აქვს 55 სამეცნიერო ნაშრომი. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს რესპუბლიკური და საერთაშორისო კონგრესის და კონფერენციების მუშაობაში. მათ შორის რუსული ენის მასწავლებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის ველიკო-ტირნოვოს (ბულგარეთი), კომოტინის (საბერძნეთი), გდანსკის (პოლონეთი), ისრაელის (ჰაიფა) სამეცნიერო კონფერენციები და გრანადის (ესპანეთი) XIII კონგრესი. გავლილი აქვს სხვადასხვა პროფესიული განათლების ტრენინგები. არის საერთაშორისო კვლევითი პროექტების მონაწილე - დაფინანსებული საგრანტო პროექტი TEMPUS HESDESPI მკვლევარი, სხვადასხვა სახელმძღვანელოების რედკოლეგიის წევრი, სამეცნიერო ღონისძიებების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

ასისტენტ პროფესორი სოფიკო თავართქილაძე 2003 წელს გაფორმდა თსუ-ს რუსული ენის კათედრის მაძიებლად. 2009 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მედია-ტექსტები კულტურულ-სემიოტიკურ სივრცეში და პრესკრიპციული ენობრივი ფუნქცია“. სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი როლანდ კომახიძე. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს რესპუბლიკური და საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში, გავლილი აქვს სხვადასხვა ტრენინგები. სოფიკო თავართქილაძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობს უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამებში.

ლილია აგაჯანოვა 2003 წელს გაფორმდა თსუ-ს რუსული ენის კათედრის მაძიებლად. 2009 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „კრეოლიზებული ტექსტი როგორც ნაციონალურ-კულტურული ინფორმაციის მატარებელი“. სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. აროშიძე, გამოქვეყნებული აქვს 7 ნაშრომი.

ნანული ჩხაიძემ 2009 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „პრეცედენტული სახელები ქართულ და რუსულ დისკურსში“ (ხელმძღვანელი პროფ. დავით გოცირიძე), გამოქვეყნებული აქვს 7 სამეცნიერო ნაშრომი.

წლების განმავლობაში დეპარტამენტში მოღვაწეობდა მასწავლებელი, ფილოლოგიის დოქტორი ნინო სურმანიძე, რომელიც 2003–2005 წლებში იყო თსუ–ს ფილოლოგიის ფაკულტეტის მამიებელი. 2009 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „საქმიანი გამონათქვამების ლინგვისტური სტატუსი“ (ხელმძღვანელი პროფ. დავით გოცირიძე). გამოქვეყნებული აქვს 7 სამეცნიერო ნაშრომი.